# მოდული 03

## მრავალსექტორული მიდგომა ძალადობრივი ექსტრემიზმთან გამკლავების მიმართ: მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები

**ადაპტირებულია საქართველოსთვის**

Hedayah countering violent extremism
SEARCH FOR COMMON GROUND
GCSD

# ეთანხმებით თუ არა შემდეგ განცხადებას?

მხოლოდ სახელმწიფო უწყებებს შეუძლიათ ნარკომანიის პრობლემის აღმოფხვრა.



**სამოქალაქო საზოგადოება -** ფართო მნიშვნელობის მქონე ტერმინი იმ ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების აღსანიშნავად, რომლებიც მოქმედებენ მოქალაქეების ინტერესების გათვალისწინებით, აღნიშნული ტერმინი ასევე გულისხმობს არაფორმალურ კოლექტივებს, პროფკავშირებს, აქტივისტებს, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, რელიგიურ ინსტიტუციებს და სხვა.



# როლები ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში

| | ძლიერი მხარეები | სუსტი მხარეები |
|---|---|---|
| **მთავრობა:** (მაგალითად, სამინისტროები, პოლიცია, საპატიმრო ინსტიტუციები, პარლამენტი) | | |
| **სამოქალაქო საზოგადოება:** (მაგალითად, ორგანიზაციები, აქტივისტები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, რელიგიური ინსტიტუციები) | | |

**მოიძიეთ თუ არა ისეთი მაგალითები, სადაც მთავრობის ძლიერი მხარეები ეწინააღმდეგება სამოქალაქო საზოგადოების სუსტ მხარეებს და პირიქით? როგორ აღმოფხვრის მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა ამ გამოწვევებს?**

**ამ სავარჯიშოდან გამომდინარე, თქვენი აზრით, რა არის თანამშრომლობის პოტენციური სარგებელი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების სფეროში?**



# თანამშრომლობის პოტენციური სარგებელი:

- გაზრდილი ეფექტიანობა და გავლენა;
- დაინტერესებულ მხარეთა წრის გაფართოება, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებაში, ასევე ხელმისაწვდომი ინსტრუმენტების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა;
- საერთო მიზნების განსაზღვრა და დაინტერესებულ მხარეებს შორის პრობლემის ტვირთის გაზიარების შესაძლებლობა;
- პრობლემის ერთობლივად გააზრება და კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- სისტემის მასშტაბით თანამშრომლობის და ურთიერთ ნდობის განმტკიცება.

# რა უშლის ხელს მთავრობასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობას და რატომ შეიძლება თანამშრომლობა ატარებდეს შეზღუდულ ხასიათს?



# ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების საკითხებზე თანამშრომლობის შესაძლო ხელშემშლელი მიზეზები

- არასწორი ინფორმაცია;
- საპირისპირო თვალსაზრისი;
- განსხვავებული ინტერესები ან პრიორიტეტები;
- თანამშრომლობისთვის საჭირო უნარების ან რესურსების ნაკლებობა.

# საკოორდინაციო გეგმა



# მოწინავე მეთოდები ეფექტიანი თანამშრომლობის მისაღწევად:

- ოფიციალური სტატუსი მიანიჭეთ რეგიონალური ან ეროვნული სტრატეგიების ან სამოქმედო გეგმების ფარგლებში თანამშრომლობას, შესაძლებლობების და მიზანშეწონილობის შემთხვევაში.
- იყავით ფრთხილად ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კოორდინაციის მიზნით შესაბამისი არხების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებისას.
- არ გამოიყენოთ ძალადობრივი ექსტრემიზმის თავიდან აცილების და გამკლავების პროგრამები უფრო ფართო მნიშვნელობის სამართალდამცავი ორგანოების დაფარვის ან სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების მიზნით.

# მოწინავე მეთოდები ეფექტიანი თანამშრომლობის მისაღწევად:

- გამოიყენეთ ფართომასშტაბიანი თანამშრომლობა იმისათვის, რომ მინიმუმამდე დაიყვანოთ მონაწილეთა საწყისი შიშები.
- ყურადღებით მოეპყარით კონფიდენციალობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
- კოლექტიურად განსაზღვრეთ როლები და პასუხისმგებლობები და განიხილეთ შეზღუდვები.
- აღიარეთ, რომ ინდივიდუალური და ინსტიტუციური თანამშრომლობა წარმოადგენს ორ სხვადასხვა საკითხს, რომელიც მოითხოვს სპეციალურ მიდგომას.

# შეჯამება

სამთავრობო უწყებები და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები უზრუნველყოფენ უნიკალურ უნარებსა და რესურსებს ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენციისა და მასთან გამკლავების მიზნით.

თანამშრომლობის ნაკლებობა შეიძლება გამოწვეული იყოს ნდობის დეფიციტით ან ზუსტი ცოდნის ან უნარების არარსებობით.

უნდობლობის მაღალი დონე ამცირებს ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავებისთვის ხელმისაწვდომი ინსტრუმენტებისა და შესაძლებლობების სპექტრს და შეიძლება ხელი შეუწყოს სამთავრობო უწყებებს, უპირატესობა მიანიჭონ კიდევ უფრო მეტად უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ მიდგომებს.



# შეჯამება

მთავრობის და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან არაჯანსაღი მიდგომები წარმოშობს დაძაბულობის ან პრობლემების გამძაფრების რისკს, რაც იწვევს ძალადობრივ ექსტრემიზმს.

ძალადობრივ ექსტრემიზმთან გამკლავების კუთხით თანამშრომლობა მოითხოვს გრძელვადიან ვალდებულებებს, რომლებიც ემყარება ურთიერთპატივისცემის და პრობლემების ერთობლივად გააზრების პრინციპს.

